პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი, № 199 (13015) | ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

კაპიტალური მშენებლობა დიდი სახალხო საქმეა

ეკონომიური განვითარების ტემპი, საზოგადოებრივი წარმოების ზრდა ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალურ მშენებლობაზე. ახალი ქიმიური ობიექტების, ფაბრიკებისა და ქარხნების, ელექტროსადგურებისა და სხვა საწარმოების დროულად შენებასა და ამუშავებაზე. რაც უფრო კარგად, ეკონომიურად გამოვიყენებთ ამ მიზნებისათვის გამოყოფილ სახსრებს, მით უფრო სწრაფად განვითარდება ჩვენი ეკონომიკა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლისა და სიბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დავაჩქარებთ, გავაიაფებთ მშენებლობას, გავაუმჯობესებთ მის ხარისხს, ეფექტიურად და გონივრულად გამოვიყენებთ კაპიტალურ დაბანდებებს.

კაპიტალური მშენებლობის დაჩქარებისა და მისი ხარისხის ამაღლებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა. მშენებლებმა და დამკვეთმა ორგანიზაციებმა ისწავლეს მანეთის ყადრი. ახლა მთელი თანხები და სამშენებლო მასალები თავმოყრილია პირველხარისხოვან, ასამუშავებელ ობიექტებზე.

საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციებმა გასულ წელთან შედარებით კვეთრად გაიუმჯობესეს შრომის ორგანიზაცია, მნიშვნელოვნად დააჩქარეს მშენებლობის ტემპი. მიუხედავად ამისა, კაპიტალური მშენებლობის შვიდი თვის გეგმის შესრულება ჩვენს რესპუბლიკაში არასახარბიელოა.

სამშენებლო-სამონტაჟო გეგმების შესრულებაში ჩამორჩა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროც: 18 დიდი სამშენებლო ორგანიზაციიდან შვიდი თვის გეგმა შეასრულა მხოლოდ ოთხმა ორგანიზაციამ — მთავართბილისმშენმა, პირველმა და მეცხრე ტრესტებმა და ბიჭვინთმშენის სამმართველომ.

ძირითადმა და მეტმა წილმა სამშენებლო ორგანიზაციებმა გეგმები რომ ვერ შეასრულეს, სწორედ ამიტომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩასაბარებელი ობიექტებიდან ნახევარიც არ გადაცემულა საექსპლოატაციოდ. მაგალითად, 206 ობიექტიდან საექსპლოატაციოდ ჩაბარდა მხოლოდ 81 ობიექტი.

ამ დიდ ჩამორჩენაში განსაკუთრებით ცოდავს ტრესტი № 6 (მმართველი ე. ამირბა), რომელმაც შვიდი თვის დავალება 76,9 პროცენტით განაღდა. ასევე სამარცხვინოდ ჩამორჩნენ მთავაროფლმშენი (მმართველი შ. თათარაშვილი) და სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო (მმართველი ა. მარგიევი).

მთელ რიგ შემთხვევებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ მშენებლებმა წლის პირველი დღეებიდანვე მუშაობა ჩაშალეს, ფეხი ვერ აუწყეს მოწინავე მშენებლებს.

მშენებლებს შეუფერხებელი მუშაობა-ში ხელს ისიც უშლის, რომ დღემდე მოუგვარებელია ინერტული მასალების მიწოდების საკითხი. ამ მასალის ნაკლებობა მთელ რიგ შემთხვევებში მოცდენს იწვევს. აგრეთვე ბევრი მშენებლობა ხშირად განიცდის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების ნაკლებობას. ამაზე უფრო მეტი უნდა იზრუნოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ.

კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენაში სცოდავენ დამკვეთი ორგანიზაციებიც. ისინი ნაკლებად ზრუნავენ მშენებლობის მოწყობილობით, პროექტებითა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მომარაგებისათვის. ხშირია პროექტების შეცვლა, რაც ზოგჯერ იწვევს აშენებულის დანგრევას და ხელახლა აგებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო მშენებლებს დიდი დაგვიანებით გამოუყოფენ ხოლმე სამშენებლო ტერიტორიას, დროულად არ აწვდიან მოწყობილობას, პროექტებსა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. მიმდინარე წელს მარტო მშენებლობის სამინისტროს დიდი დაგვიანებით გამოუყვეს ტერიტორია შვიდი დიდი ობიექტისათვის, რომელთა სამშენებლო ღირებულება 1 მილიონ 400 ათას მანეთს აღემატება, ტექნიკური დოკუმენტაცია დაგვიანებით გადასცეს 9 ობიექტისათვის, რომელთა ღირებულება 1 მილიონ 765 ათას მანეთს შეადგენს. დიდი დაგვიანებით მიიღეს მშენებლებმა მოწყობილობა 20 ობიექტისათვის, რომლის ღირებულება 5 მილიონ მანეთს აღწევს.

როგორც ვხედავთ, კაპიტალური მშენებლობა დიდ გეგმაზომიერ მუშაობას მოითხოვს როგორც მშენებლების, ისე დამკვეთი ორგანიზაციების მხრივ. მშენებლობის პატარა შეფერხებაც კი დიდ ჩამორჩენას იწვევს, რომლის დაძლევა შემდეგში ძალზე ძნელდება და მშენებლები მის გამოსწორებას ხშირად ვერც ახერხებენ. ამიტომ საჭიროა მშენებლებს შეუქმნათ მაღალნაყოფიერი მუშაობის უველა პირობა, რათა აშენონ სწრაფად, ეფექტიანად და კარგად.

რესპუბლიკაში ვერ ნახავთ სამშენებლო ორგანიზაციას, რომელიც სამართლიან საყვედურებს არ გამოთქვამდეს აუტოტრანსპორტის ცუდი მომსახურების გამო. მართლაც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მშენებლობის სამინისტროს წლის პირველ ნახევარში ტვირთების გადაზიდვის გეგმა ტონობით 90 პროცენტით შეუსრულა, ხოლო ტონაკილომეტრობით —82,3 პროცენტით. ცხადია, თუ მშენებლებს მასალები 100 პროცენტით დროულად არ მივაწოდეთ, ისინი გეგმებს ვერ შეასრულებენ.

მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ ბევრი ხელმძღვანელი უუნაროდ მუშაობს. ჯერ კიდევ ძლიერია ძველი სენი — უხელმძღვანელოს ზოგადად, საერთოდ, დასჯერდნენ არაფრისმთქმელ მოწოდებებს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ხშირად ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის ნაცვლად მიმართავენ ადმინისტრირებას, გადაყოლა-ნი არიან სხდომებს, განუწყვეტლივ იწვევენ მშენებლობათა ხელმძღვანელებს ანგარიშგებისა და „შეხურებისათვის“, მშენებლობათა ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ქმედით ღონისძიებებს კი არ ახორციელებენ.

პარტიის საოლქო, საქალაქო, სამრეწველო-საწარმოო კომიტეტებმა უნდა აღმოფხვრან მუშაობის ასეთი სტილი, კონკრეტულად გაერკვნენ თვითეული მშენებლობის ვითარებაში, უველა შესაძლებლობა და რეზერვები გამოიყენონ მშენებლობაში ჩამორჩენის დასაძლევად. ასამუშავებელი ობიექტების დროულად მწყობრში ჩასაყენებლად.

კაპიტალური მშენებლობის საკითხებს უნდა მივაყაროთ სამშენებლო და დამკვეთი ორგანიზაციების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყურადღება, რათა წლის დარჩენილ დროში ავანაზღაუროთ დაკარგული დრო და მშენებლობა ვაწარმოოთ ზუსტად გრაფიკის მიხედვით.

ყველა მშენებლობაზე უნდა შევიმუშაოთ კომპლექსური გრაფიკები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შეთავსება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, გათვალისწინა რა კაპიტალური მშენებლობის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, გადაწყვიტა ოქტომბრის მეორე ნახევარში მოწვეულ იქნას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის საკითხს.

ახლა მთავარია პლენუმის აღსანიშნავად ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლეულის მეექვსე წლის დავალებათა შესრულებისათვის, ახალ სამძლავრეთა დროულად ამოქმედებისათვის.

ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მშენებელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, უველა პირობა შეუქმნან თვითეულ მშენებელს მაღალნაყოფიერი შრომისათვის, ფართოდ გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება, წარმატებით იბრძოლონ იმისათვის, რომ სამშენებლო ორგანიზაციები მუშაობდნენ რიტმულად, გეგმები სრულდებოდეს გრაფიკის მიხედვით, რათა ასამუშავებელი ობიექტები ვადამდე ჩავაყენოთ მწყობრში კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

პარტია სუდანის კავშირის (მალის რესპუბლიკა) დელეგაცია

1964 წლის 25 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით სსრ კავშირში მყოფი პარტია სუდანის კავშირის (მალის რესპუბლიკა) ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მდივანი ტ. მადეირა კეიტა.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ამხანაგური ურთიერთგაზიარება პარტია სუდანის კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის საინტერესო ფართო წრის საკითხებზე. დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირმალის თანამშრომლობის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სუდანის კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების შემდგომი განვითარების საკითხებს.

დელეგაციის წევრებმა ილაპარაკეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებზე, გულწრფელი აღფრთოვანება გამოთქვეს საბჭოთა ხალხის წარმატებათა გამო კომუნიზმის მშენებლობაში.

საუბარმა ჩაიარა განსაკუთრებით გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში. (საკდესი).

პალმირო ტოლიატის ხსოვნისათვის

სამგლოვიარო მიტინგი მოსკოვში

25 აგვისტოს საღამოს მოსკოვის კრემლის თეატრში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა იტალიისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ამხანაგ პალმირო ტოლიატის ხსოვნას.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. კუზნეცოვმა. სიტყვები წარმოთქვეს ქარხანა „წითელი პროლეტარის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ხარატმა ნ. მ. კუზმინმა, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა პ. ა. სატიუკოვმა, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ლუის ბალაგერმა და სხვებმა.

(საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს უკრაინის კომპარტიის ზაპოროჟიეს სასოფლო საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ზაპოროჟიეს ოლქის ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

მისალმებაში ნათქვამია, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 58 მილიონ 600 ათასი ფუთი პური ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 58 მილიონი ფუთისა და გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 4 მილიონი ფუთი მარცვალი.

ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან სულ ცოტა 11,5 მილიონ ფუთ მზესუმზირას თესლს და 124 ათას ტონა ბოსტნეულს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს და გამოთქვეს რწმენა, რომ ისინი შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ზეგეგმითი პურის მიყიდვის თავიანთ ვალდებულებებს და ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.



გამოფენა მოსკოვში

მოსკოვი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა პალმირო ტოლიატის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის ცენტრშია იტალიის გამოჩენილი შვილის პორტრეტი შავ სამგლოვიარო ჩარჩოში.

პორტრეტის ქვემოთ არის ციფრები 1893-1964 და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომლებიც მთელ მსოფლიოს მოედო: „ამხანაგი ტოლიატი თავისთვის როდი ცხოვრობდა, მთელი მისი ცხოვრება მოხმარდა მუშათა კლასის, მარქსისტულ-ლენინური იდეების გამარჯვებისათვის, მშრომელთა საქმისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას“.

გამოფენაზე წარმოდგენილია ბევრი წიგნი რუსულ და იტალიურ ენებზე, წიგნები, რომლებშიც განზოგადებულია იტალიის მუშათა კლასის, კომუნისტური პარტიის ბრძოლის გამოცდილება მშვიდობისა და სოციალიზმისათვის; პალმირო ტოლიატის ნაშრომთა კრებულები.

ᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ შრომითი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, მათ ვადამდე, 25 აგვისტოსათვის, შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების რვა თვის პროგრამა. გადაჭარბებით შესრულებულია მრეწველობის ისეთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაკეთობების გამოშვება, როგორიც არის თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, მანგანუმის მადანი, ქვანახშირი. ტექნოლოგიური მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები ყველის მრეწველობისათვის, ამწის ელექტროძრავები, კოშკურა ამწეები, ცემენტი, სარეცხი მანქანები, ქაღალდი, ზედა საცვალი, ტრიკოტაჟი, ნატურალური ჩაი, კონსერვი და სხვ.

თვის დამლევამდე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოები ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმით პროდუქციას გამოუშვებენ.

რვა თვის დავალების ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის ქარხნების „ელექტროზომიტის“, „ჰიდრომეტბელსაწყოს“, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთამმართველო კოლექტივებმა, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტისა და ტყვარჩელის ქვანახშირის № 1 ტრესტის მაღაროელებმა, თბილისის სამენ მასალათა კომბინატმ., თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ, „ქუთაისის“ საკონსერვო და ბორჯომის ჩამოსასხმელმა ქარხნებმა და სხვ.

ᲛᲝᲛᲐᲯᲘᲠᲜᲔᲝᲑᲐ — ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲗ!

მოსკოვის თხუთმეტი საწარმოს კოლექტივის, რუსთაველი მეტალურგებისა და თბილისელი ჩარხმშენებლების მოწოდების პასუხად

მოსკოვის თხუთმეტი საწარმოს კოლექტივის, რუსთაველი მეტალურგებისა და თბილისელი ჩარხმშენებლების მოწოდებამ — ფართოდ გაამაღოს ბრძოლა რენტაბელური წარმოებისათვის — მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა თბილისის პირველი მექანიკური ქარხნის კოლექტივში. აქ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელობა ჯგუფის ინიციატივით გადასინჯეს შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თუმცა წარმოება წლითიწლობით ზრდის პროდუქციის გამოშვებას და ამცირებს მის თვითღირებულებას, არის გამოუყენებელი რეზერვები, რომელთა ამოქმედება წარმოებას დიდ მოგებას მისცემს.

ქარხნის კოლექტივმა შვიდი თვის დავალება წარმატებით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით ქვეყანას 90 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა, ამავე დროის მანძილზე ეალეკეული მკრეფავებიდან დაწინაურდა სოფელ მამათის კოლმეურნეობის წევრი **ოლია ჩხაიძე**. მისი ვალდებულებაა სეზონის დამთავრებამდე 0,5 ჰექტარზე მოკრეფოს 7 ათასი კილოგრამი ფოთოლი. ფოთლის კრეფის აგროწესების დაცვით და პლანტაციის კარგი მოვლის შედეგად ო. ჩხაიძემ პირობა ვადაზე ადრე გაანაღდა.

ასევე ისახელეს თავი ამავე კოლმეურნეობის წევრმა **შუშანა დარჩიამ** და სოფელ **ზემო აკეთის** კოლმეურნეობის მეჩაიემ **ეთერ ჩხაიძემ**. ახლა ისინი ფოთოლს წლიური გეგმის ზევით კრეფენ.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

მოწინავე მაღაროელთა დაჯილდოება

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ახლახან აქ მიიღეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც იუწყება, რომ მაღაროელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია „მეშახტის დიდების“ ნიშნით. „მეშახტის დიდების“ პირველი ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულთა შორის არიან: ლენინის სახელობის მაღაროს მექანიკოსი გ. გაფრინდეშვილი, დმიტროვის სახელობის მაღაროს ექსკავატორის მემანქანე უ. ვაშაიძე, კალინინის სახელობის მაღაროს მარგანეცის ამწმენდი ა. ცერცვაძე, ახალი ითხვისის მაღაროს მებიგე მ. გოგატიშვილი და სხვ.

ბევრი მაღაროელი დაჯილდოებულია „მეშახტის დიდების“ მეორე და მესამე ხარისხის ნიშნებით.

ჯილდოებს მაღაროელები შრომითი აღმავლობით უპასუხებენ.

ᲣᲙᲔᲗ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ!

ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრების დროთანდათან ილევა, ამიტომ ახლა ლანჩხუთელი მეჩაიეები, — გახაცადა საშუბარში ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. საბაშვილმა**, — არ იშურებენ ძალებს იმისათვის, რომ ვადამდე შესრულონ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. კოლმეურნეობებმა პლანტაციებში მესამე ჯერ შეიტანეს აზოტოვანი სასუქი. ამან ხელი შეუწყო ფოთლის ვეგეტაციას. ახლა მეჩაიეები ყოველდღე აძლიერებენ ტემპს. გუშინწინ მოიკრიფა 73 ტონა ფოთოლი, გუშინ — 75 ტონა. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 8 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“, რაც წლიური გეგმის 80,5 პროცენტს შეადგენს.

შედარებით წინ მიდის შუხუთის კოლმეურნეობა. აქ უკვე მოკრიფეს 300 ტონა ჩაი. წლიური გეგმით მოსაკრეფი აქვთ 340 ტონა. წლიურ გეგმას მალე შეასრულებენ **ლაშისხელელი, გულიანის, მამათისა** და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲒᲐ

თეთრი წყაროს, 24 აგვისტო. (საკდესი). სოფელ კოდის საკოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოში პირველებმა დაიწყეს სიმინდის მოსავლის ალება. მექანიზატორებმა მ. მატინოვმა და ი. ჯაბახიშვილმა უკვე აიღეს 60 ჰექტარი სიმინდის მოსავალი, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 35 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

სულ კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავალი უნდა აიღონ 400 ჰექტარზე.

ᲛᲔᲢᲘ ᲠᲫᲔ, ᲮᲝᲠᲪᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ

საქართველოს სსრ მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა, — აცნობა „კომუნისტის“ რედაქციას ტრესტის მმართველმა ამხ. დ. შარაშიძემ, — შემავალმა ბათუმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი **დ. ლეკვეიშვილი**) კოლექტივმა პირნათლად გაანაღდა პირობა, წლიური გეგმით გათვალისწინებული 13 ათასი ცენტნერი რძის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 24.300 ცენტნერი რძე. ახლა ისინი სახელმწიფოს რძეს წლიური გეგმის ზევით აძლევენ.

სასახლოდ მუშაობენ **აწყურის** მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი **ნ. ხარჭველაძე**). აქაურ მეცხოველეებს ცხრა თვეში სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 3.550 ცენტნერი რძე, მაგრამ ამას არ დასჯერდნენ და ვადაზე თვენახევრით ადრე მიჰყიდეს 3.890 ცენტნერი რძე.

სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის საქმეში წინ მიდიან **ნორიოს** (დირექტორი **ე. დანელია**), **სართიჭალის** (დირექტორი **ა. დემეტრაძე**), **დიღმის** (დირექტორი **ბ. საყვარელიძე**), **სამგორის** (დირექტორი **მ. ნიალოვი**) და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს **გაგრის** (დირექტორი **ვ. ძნელაძე**), **თელეთის** (დირექტორი **გ. დალაქიშვილი**), ნატახტარის (დირექტორი **გ. ოსიაშვილი**) საბჭოთა მეურნეობებმა.

სულ მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა ცხრა თვეში სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 209.662 ცენტნერი რძე, ფაქტიურად მიყიდულია 139.570 ცენტნერი. ტრესტის საბჭოთა მეურნეობების მუშაკები პირობას იძლევიან, რომ სიტყვას ვადაზე 15 დღით ადრე შეასრულებენ.

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის ველმინდვრებზე, ბაღებსა და ვენახებში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. მწიფს ხილი, ყურძენი, — მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — ატმის მოსავლის აღება გარდაბნის რაიონის რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობაში. ლ. აივაზოვა (მარცხნივ) და ნ. კაზარიანი ატმის კრეფის დროს; მარჯვნივ — გარდაბნის რაიონის კოწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი ო. კასრელიშვილი (მარჯვნივ) და მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი კ. გელენიძე ამოწმებენ მოკრეფილი ყურძნის ხარისხს.

ფოტო ი. მღებრიშვილის და ი. დავითაშვილისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲓ ᲣᲩᲙᲜᲝᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ

ᲣᲐᲖᲐᲜᲘ, 24 აგვისტო. (საკდესის კორ.). 25 აგვისტოს 20 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ფაშისტურ ჯურღმულებში დაიღუპა საბჭოთა კავშირის გმირი მუსა ჯალილი, გამოჩენილი თათარი საბჭოთა პოეტი-პატრიოტი. თათრეთის ლიტერატურული საზოგადოებრობა ფართოდ აღნიშნავს ამ თარიღს.

ყაზანისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში გაიხსნა პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები. საწარმოებში ეწყობა საუბრები მუსა ჯალილის გმირული გზის შესახებ. დღეს ალმეტიევსკში, თათრეთის ნავთობის მრეწველობის ცენტრში, საღამოზე დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარა პოეტის მეგობარმა, მისი ლიტერატურული შემოქმედების მკვლევარმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გაზი კაშაფმა.

ადგილობრივი გაზეთები და ჟურნალები ბეჭდავენ პოეტის ნაწარმოებებს, მასალებსა და ფოტოსურათებს, რომლებიც გამოგზავნა გერმანელმა ლიტერატორმა ლეონ ნებენკალმა. იგი მოგვითხრობს მუსა ჯალილის ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე.

ჟურნალ „აზატ ხატინში“ დაბეჭდილია კადრები კინოფილმ „წითელი გვირილიდან“. იგი შექმნეს გერმანელმა მეგობრებმა და მიუძღვნეს მუსა ჯალილს.

თათრეთის წიგნის გამომცემლობა უშვებს ორ წიგნს. პირველ წიგნში მოთავსებულია მუსა ჯალილის 50 თანამედროვის მოგონება პოეტზე. მეორე წიგნში „ძიება გრძელდება“ ავტორები გაზი კაშაფი და რ. მუსტაფინი მოგვითხრობენ ახალ მასალებზე, რომლებიც დაკავშირებულია ჯალილის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ

მოსკოვი, 24 აგვისტო. (საკდესის კორ.). შვიდი თანამედროვე იტალიელი მხატვრის სამოც ნაწარმოებს გაეცნენ მოსკოველები თანამედროვე იტალიური გრაფიკის გამოფენაზე, რომელიც დღეს გაიხსნა ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

მიუხედავად იმისა, რომ გამოფენაზე ბევრი ნაწარმოები და მხატვარი როდია წარმოდგენილი, იგი კარგ წარმოდგენას იძლევა იტალიელ გრაფიკოსთა პროგრესული ხელოვნების შესახებ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს უკრაინის კომპარტიის ზაპოროჟიეს სასოფლო საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ზაპოროჟიეს ოლქის ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

მისალმებაში ნათქვამია, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 58 მილიონ 600 ათასი ფუთი პური ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 58 მილიონი ფუთისა და გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 4 მილიონი ფუთი მარცვალი.

ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან სულ ცოტა 11,5 მილიონ ფუთ მზესუმზირას თესლს და 124 ათას ტონა ბოსტნეულს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს და გამოთქვეს რწმენა, რომ ისინი შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ზეგეგმითი პურის მიყიდვის თავიანთ ვალდებულებებს.

ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲒᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, კარიბის ზღვის აუზში მძვინვარებს გრიგალი „კლეო“. 23 აგვისტოს იგი თავს დაატყდა გვადელუპის კუნძულს (ანტილის მცირე კუნძულები). ამ კუნძულის 14 მცხოვრები დაიღუპა და 100 დაშავდა. ოცი ათასზე მეტი კაცი დარჩა უსახლკაროდ. გახადგურებულია შაქრისა და ბანანის მთელი პლანტაციები. დანგრეულია ასობით სახლი და დაზიანებულია ათი ათასზე მეტი. საერთო ზარალი შეადგენს 50 მილიონ დოლარს.

გრიგალი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოძრაობს და მიაღწია ჰაიტის კუნძულს.

სააგენტოები იუწყებიან, რომ ჰაიტის სიხარკე, როგორც მოელიან, მიაღწევს 225 კილომეტრს საათში.

იამაიკის კუნძულზე ხორციელდება სიფრთხილის ღონისძიებანი.

კუბის მთავრობამაც გამოაცხადა საგანგებო წესები ორიენტეს სამხრეთ-პროვინციაში. მთელ კუბაში ხორციელდება აქტიური ღონისძიებანი, რომ მოსახლეობა იხსნან მოახლოებული გრიგალისაგან. დაბლობის რაიონების ბევრი მცხოვრები უკვე გადაყვანილია უსაფრთხო ადგილებში.

ᲛᲐᲥᲐᲠᲘᲝᲡᲘ ᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲣᲠᲘᲜᲓᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 25 აგვისტო. (საკდესი). კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი დღეს გაფრინდა ათენს „გადამწყვეტი მოლაპარაკებისათვის“ საბერძნეთის მთავრობასთან კვიპროსის პრობლემის შესახებ, იუწყება ნიკოზიიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

პრეზიდენტი მაკარიოსი რამდენიმე დღეს დარჩება ათენში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პაპანდრეუს მოწვევით.



ᲙᲐᲚᲛᲘᲠᲝ ᲯᲝᲚ

პარტიული ცხოვრება

წარმოების ინტენსიფიკაცია
და პარტიული ორგანიზაციები

ერთი წლის წინათ ჩვენს სალაპარაკო ლექსიკონში იშვიათად თუ გაიგონებდით სიტყვა „ინტენსიფიკაციას“. ახლა კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შემდეგ სოფლის მშრომელებმა კარგად იცან ამ სიტყვის ფასი. ჩვენმა კოლმეურნეობებმა ინტენსიფიკაცია შეადარეს ოქროს კიდობანს, რომელშიც ბევრი თვალმარგალიტია. ამ სიმდიდრის გონივრულად გამოყენებით ადვილად მივაღწევთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვეს.

მართლაც, განა დიდ სიმდიდრეს არ წარმოადგენს მოსავლიანობის ზრდის ისეთი ქმედითი საშუალებანი, როგორიც არის მინერალური და ორგანული სასუქები, ჰერბიციდები და ქიმიის სხვა სიკეთე, ირიგაციის ფართოდ გამოყენება და აგროწესების ზუსტად დაცვა, მარცვლეულის ახალი, უწვმოსავლიანი ჯიშები და წარმოების სპეციალიზაცია.

წყვეტენ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხს, დუშეთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები და პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ **მარცვლეულის წარმოების გადიდებას.** მართალია, ჩვენი საწარმოო სამმართველო რესპუბლიკაში ცნობილია როგორც მეცხოველეობის, განსაკუთრებით მომთაბარე მეცხვარეობის, კუთხე, მაგრამ ჩვენს კოლონიებში მარცვლეულ კულტურებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიმდინარე წელს მარტო დუშეთის რაიონში ხორბალმა 5.447 ჰექტარი ფართობი დაიკავა, ხოლო სიმინდმა — 3.434 ჰექტარი.

დუშეთელ კოლმეურნეებს უყვართ „მინდვრის დედოფალი“, რადგან იგი არა მარტო მარცვალს იძლევა, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში. სიმინდი ხომ ჰექტარ მიწაზე ყველაზე მეტ საკვებ ერთეულს იძლევა. ამიტომ ირის, რომ ჩვენთან სიმინდის კულტურის ნათესი ფართობი უკანასკნელ წლებში ორჯერ გაიზარდა. წინათ ეს კულტურა სასილოსად არ მოჰყავდათ, მიმდინარე წელს კი სასილოსად დათესეს 794 ჰექტარი.

იალაღებზე ლექტორი მოვიდა...

სარეველ. (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ კარბოფლის კოლმეურნეობამ პირუტყვი საზაფხულო იალაღებზე გარეკა. იალაღებისაკენ გაემართა ორასამდე კოლმეურნე. ისინი სახელდახელოდ მოწყობილ კარვებში ცხოვრობენ, პირუტყვისათვის თივას ამზადებენ...

ამ დღეებში კოლმეურნეობას ესტუმრა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, კორბოულის მკვიდრი ბ. კაპანაძე.

— სოფელში თითქმის აღარავინ დარჩენილა, უმჯობესია იალაღებზე მივიდეთ მწყემსებთან, მთიბავებთან, იქ ვისაუბროთ, — თქვა ლექტორმა. მას დაეთანხმნენ.

იალაღებზე გულღიად შეხვდნენ ლექტორს. მეცხოველეებმა ყურადღებით მოუსმინეს საუბარს — „სსრ კავშირის უმაღლესი სამკოს მეოთხე სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და სესიის მიერ მიღებული კანონები“. საუბარი ბევრ საინტერესო საკითხებს შეეხო. იალაღებზე საკოლმეურნეო კლუბის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტი გამართა.

ახალი რეგერვები — სოფლის სამსახურში!

სოფლის მეურნეობაში არსებული ახალი რეზერვების გამოვლინებასა და მათ ეფექტურ გამოყენებას მიეძღვნა გეზეკორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მიერ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გამართული ეკონომიური კონფერენცია.

საწარმოო სამმართველოს უფროსის გ. ჯულიას მოხსენების თემა იყო „რაიონში არსებული ეკონომიური რეზერვების გამოვლინება და გამოყენება“.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი დ. გოროზია გამოვიდა მოხსენებით — „ჩაის მოსავლიანობის აწევის გზები და რეზერვები მეურნეობაში“, ხოლო ამავე მეურნეობის პარტიბიუროს მდივანი შ. კილასონია — „შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები“.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კონფერენციას 200-მდე სოფლის მეურნეობის მუშაკი დაესწრო.

ი. თოფურია.

ხარიხერე. (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ კარბოფლის კოლმეურნეობამ პირუტყვი საზაფხულო იალაღებზე გარეკა. იალაღებისაკენ გაემართა ორასამდე კოლმეურნე. ისინი სახელდახელოდ მოწყობილ კარვებში ცხოვრობენ, პირუტყვისათვის თივას ამზადებენ...

ამ დღეებში კოლმეურნეობას ესტუმრა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, კორბოულის მკვიდრი ბ. კაპანაძე.

— სოფელში თითქმის აღარავინ დარჩენილა, უმჯობესია იალაღებზე მივიდეთ მწყემსებთან, მთიბავებთან, იქ ვისაუბროთ, — თქვა ლექტორმა. მას დაეთანხმნენ.

იალაღებზე გულღიად შეხვდნენ ლექტორს. მეცხოველეებმა ყურადღებით მოუსმინეს საუბარს — „სსრ კავშირის უმაღლესი სამკოს მეოთხე სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და სესიის მიერ მიღებული კანონები“. საუბარი ბევრ საინტერესო საკითხებს შეეხო. იალაღებზე საკოლმეურნეო კლუბის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტი გამართა.

ბაზალეთი. ტბის ბაზაზე ბაზალეთისა და მუხიჯვრის კოლმეურნეობების გაერთიანების მოგვიანებით საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარება. იმედია, რომ ეს საშეალოშვილო საქმე ბანოლოდ დადგება, ეს იქნება ის დიდი რეზერვი, რაზეც მიგვითითებს მეურნეობის ინტენსიფიკაციის გადაუდებელი ამოცანები.

პარტიული კომიტეტი და საწარმოო სამმართველო მთავარ ყურადღებას უთმობენ ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეს. ყველაზე რთულ და პასუხსაგებ უბნებზე იგზავნებიან კომუნისტები და კომკავშირელები, ნიჭიერი ორგანიზატორები. ჩვენ ვთვალისწინებთ იმ ეკუმშარიტებას, რომ ხელმძღვანელი ტრიალებს ცოცხალ ადამიანებში და მის ცოდნაზე, გამოცდილებაზე. ადამიანებისადმი სწორი მიდგომის უნარზე და სხვა პირად თვისებებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

პარტიული კომიტეტისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ახლა ის არის, რომ ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის როლი ჩვენი მთავარი საქმის — სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხის წარმატებით გადაჭრაში.

ა. შადური,
დუშეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ახალი წიგნები

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 48-ე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 48-ე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა **და გამოუშვა** პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. ტომში შედის წერილები, რომლებიც დაწერილია 1910 წლის ნოემბერში—1914 წლის ივლისში, ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში.

წერილები გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის ბრძოლას ახალი ტიპის რევოლუციურ მარქსისტული პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის, ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორების, ტროცკისტების, შემარიგებლების წინააღმდეგ.

მიწერ-მოწერა ასახავს ვ. ი. ლენინის უდიდეს იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას რსდმპ სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის, ცენტრალური კომიტეტის პარტიულ მუშაკებთან კრაკოვისა და პორონინოს თათბირების მოსამზადებლად და მოსაწვევად 1913 წელს, რომელთა გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს პარტიის განმტკიცებაში, მისი რიგების ერთობის შეკავშირებაში, მუშათა კლასის უმრავლესობის მოპოვების საქმეში.

წერილები ახასიათებენ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი ლენგლურ ბოლშევიკურ პრესას — „ვპერედს“, „პრავდას“, „ზვეზდას“, „ურანლებს „მასლს“ და „პროსვეშჩენიეს“. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ დიდ ყურადღებას უთმობდა „პრავდას“. მისმა მრავალრიცხოვანმა წერილებმა რედაქციისადმი განსაზღვრეს გზეთის, როგორც მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის მებრძოლი ორგანოს მიმართულება. **მიწერ-მოწერა გვიჩვენებს** აგრეთვე, თუ რა ყურადღებით ადევნებდა ვლადიმერ ილიჩ ვ. ი. ლენინი IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების საქმიანობას და როგორ ეხმარებოდა მათ მუშაობაში.

ორგანიზატორულ მუშაობასთან ერთად ვ. ი. ლენინი ეწეოდა უდიდეს თეორიულ მუშაობას, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში. **მიწერ-მოწერაში** ჩამოყალიბებული ცალკეული დებულებანი ძვირფასი დანამატია მისი კლასიკური შრომებისა და სტატიებისა — „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“, „ერთა თვითგამორკვევის უფლება“ და სხვ. ეროვნულ საკითხში მთავარია, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, ყველა ეროვნების მუშების გაერთიანება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით, მათი მოქმედების ერთობა კლასობრივ ბრძოლაში, გაერთიანება ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში.

მიწერ-მოწერის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ვ. ი. ლენინის ბრძოლას მარქსიზმის, ფილოსოფიური საფუძვლების სიწმინდისათვის. ლენინის შეურიგებელ ბრძოლას რევოლუციური თეორიის სიწმინდისათვის, მისი შემოქმედებითი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსიზმის სულისკვეთებით მუშების იდეური აღზრდისათვის.

მიწერ-მოწერა ასახავს ლენინის დაძაბულ ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ იქნა მხილებული ლენინის ხელმძღვანელობით და კრახი განიცადა II ინტერნაციონალის ლიდერთა გეგმამ ლიკვიდაცია ეყოთ რუსეთის ბოლშევიკური პარტიისათვის ბრიუსელის „გამაერთიანებელ“ თათბირზე 1914 წელს.

ორმოცდამერვე ტომში დაბეჭდილია 173 წერილი, რომლებიც ვ. ი. ლენინის თხზულებათა წინა გამოცემებში არ შესულა, მათგან 70 წერილი იბეჭდება პირველად და 14 წერილი — პირველად რუსულ ენაზე. (საკდესი).

„ბოლშევიკური პერიოდული პრესა“

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბიბლიოგრაფიული ცნობარი „ბოლშევიკური პერიოდული პრესა“, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. ცნობარი შეიცავს პარტიულ პერიოდულ გამოცემათა ანტიკრებულ ნუსხას, რომლებიც გამოდიოდა 1900 წლის დეკემბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე.

სულ ცნობარში აღნიშნულია 402 პერიოდული გამოცემა ძირითად ტექსტში და 44 — დანართი — „ბოლშევიკური პროფკავშირული პრესა“. ეს მნიშვნელოვნად მეტია ემაზე, რაც არის ცნობარში „რუსული პერიოდული პრესა (1895 წელი — 1917 წლის ოქტომბერი)“, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ 1957 წელს გამოუშვა.

ცნობარი იწყება „ლენინური „ისკრის“ აღწერით, რომელმაც, როგორც ცნობილია, უდიდესი როლი შეასრულა ახალი ტიპის პარტიის შექმნაში და დაასაბამი მისცა ახალ ეტაპს რუსეთის რევოლუციური პრესის ისტორიაში.

ანოტაციებში აღნიშნულია გამოცემის ფაქტიური რედაქტორები და მონაწილეები, გამოცემული ნომრების საერთო რაოდენობა, ტირაჟები, მოცემულია ცნობები გამოცემების მიმართ ხელისუფალთა რეპრესიების შესახებ. განსაკუთრებით აღნიშნულია გაზეთებსა და ჟურნალებში ვ. ი. ლენინის სტატიების პუბლიკაციები, პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების რეზოლუციები. (საკდესი).

„მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა“

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა დასაბეჭდად ამზადებს დიდ წიგნს „მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა“. წიგნი შექმნეს პარტიულმა მუშაკებმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა აკადემიკოს ბ. ნ. პონომარიოვის რედაქციით. ეს წიგნი გამოვა 1 ინტერნაციონალის 100 წლისთავისათვის.

წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოცემულია მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარება ბოლო საუკუნის მანძილზე. მეორე ნაწილში დასასიათებულია საერთაშორისო რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა თანამედროვე ეტაპზე. წიგნის მესამე ნაწილი ეძღვნება იდეოლოგიურ პრობლემებს, შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ბრძოლას სოციალ-რეფორმისტებისა და დოგმატიკოს - სექტოლოგისტების წინააღმდეგ.

წიგნი შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული პოლიტიკური განათლების ქსელში თანამედროვე მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, აგრეთვე მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შესწავლისათვის (საკდესი).

მშენებელთა აგიტატორებთან

ენგურჰესის მშენებელთა კლუბში თათბირ-სემინარზე შეიკრიბნენ მშენებლობის პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, აგიტატორები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, ძირეული პრესის მუშაკები.

„აგიტატორთა სწავლება და აღზრდა“ — ასეთი იყო თემა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილის ფ. მახარაძისა, რომელიც მან მშენებლებისათვის წაიკითხა.

მოხსენილ იქნა აგრეთვე საუბრები — მშენებლობაზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სპეციფიკის, ძირეული პრესის მუშაობის, თვალსაჩინო აგიტაციის საკითხებზე.

ი. თოლორაია.



ნელს მცხეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ ძალისის კოლმეურნეებმა 120 ჰექტარი ვენახი საგულდაგულოდ დაამუშავეს და შედეგიც კარგი აქვთ. საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერ ყურძენს მოიღებენ ნაცვლად 40 ცენტნერისა. ამავე სამმართველოს ქვემო გომის კოლმეურნეობის წევრი გ. მჭედლიშვილი 25 წელია რაც ცხვარში მუშაობს. იგი ახლა ფერმის გამგეა. აქაური ცხვრები სანიმუშოდ არის მოვლილი. გ. მჭედლიშვილი ამავე დროს საუკეთესო აგიტატორია და თავისუფალ დროს მეცხვარეებს უკითხავს ჟურნალ-გაზეთებს.

სურათებზე: სოფელ ძალისის კოლმეურნეობის აგრონომი ი. სილაძე (შუაში) და მოწინავე კოლმეურნე გ. თეთუნაშვილი ამოწმებენ ყურძნის მსხმოიარობას. მეორე **სურათზე:** ფერმის გამგე აგიტატორი გ. მჭედლიშვილი მეცხვარეებს უკითხავს ახალ გაზეთს.

ფოტოები: ი. დავითაშვილისა (საკდესის ფოტოქრონიკა) და ე. ნადარეიშვილისა.

ვიდრე საქმე
დანაშაულამდე მივიდოდეს

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1961 წლის 27 დეკემბერს მიიღო კანონი და დაამტკიცა დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის შესახებ“. ამ დებულების მე-4 მუხლი ადვოკატთა კოლეგიებს ავალებს სოციალისტური კანონიერების დაცვასა და გამმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებას და საბჭოთა კანონების პროპაგანდას.

ადვოკატი, სოციალისტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცებისათვის მოწოდებული პირი, არ შეიძლება შემოიფარგლოს იმით, რომ ახორციელებდეს მხოლოდ მის პირდაპირ პროფესიულ მოვალეობას, იცავდეს ბრალდებულს.

წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო პროცესში ადვოკატი უნდა დაინტერესდეს და გაარკვიოს დანაშაულის წარმოშობის კონკრეტული მიზეზები და პირობები ყველა ზომა ამ მიზეზთა სრული ლიკვიდაციისათვის.

მართლმსაჯულების პირუთვნელად განხორციელებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში ადვოკატურაც ერთ-ერთი მტკიცე რგოლი უნდა იყოს იმ ჯაჭვისა, რომელიც განკუთვნილია დანაშაულის თანდათანობით შემცირებისა და საბოლოოდ მისი სრული ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა ადვოკატი არ შეიძლება გულგრილი იყოს და უყურადღებოდ ტოვებდეს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ იმ დანაშაულს, რომელიც წინასწარი გამოძიების დროს არ ყოფილა გამოაშკარავებული, რეგისტრირებული.

საქართველოს სსრ ადვოკატთა დიდი უმოავლესობა პირნათლად ასრულებს მათზე დაკისრებულ სავალდებულო მოთხოვნებს, აღძრავს დასაბუთებულ შუამდგომლობებს ხაგამომძიებლო თუ სასამართლო ორგანოების წინაშე დანაშაულის აცდენისა და პროფილაქტიკისათვის.

ადვოკატი არ უნდა ემაყოფილდებოდეს მხოლოდ შუამდგომლობით კერძო განჩინების გამოტანის შესახებ, იგი იმითაც უნდა დაინტერესდეს, თუ რა შედეგი მოჰყვა კერძო განჩინებას და როგორი იყო სათანადო წარმოებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა რეაგირება.

იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა ცალკეულ საქმეთა განხილვისას თვით სასამართლო არ აძლევს ადვოკატს დანაშაულის წარმოშობის პირობებისა და მიზეზების ღრმა ანალიზის ნებას. ზოგჯერ ხდება ისიც, რომ სასამართლო უყურადღებოდ ტოვებს ადვოკატთა საფუძვლიან შუამდგომლობებს შემდგომი, მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებით.

რუსთავის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი მ. ლატუტოვა 1963 წლის 21 მაისს ავტოავარიის შედეგად დაზარალებული აირაპეტიანის ინტერესებს იცავდა.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ პასუხისგებაში მიეცმულ მშვენიერძალესა და ჯანიეს კონტროლს არ უწევდა რუსთავის ავტოსატრანსპორტო კანტორა, ხშირად სხვა შემთხვევებშიც. მანქანები ტექნიკურად გაუმართავი და ექსპლოატაციისათვის უვარგის მდგომარეობაში იყო და რომ შორეულს არ ეკრძალებოდათ აეკეთი სამგზავრო მანქანების მართვა და მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა.

ადვოკატმა მ. ლატუტოვამ საფუძვლიანი შუამდგომლობა აღძრა და სთხოვა სასამართლოს გამოეტანა კერძო განჩინება ავტოსატრანსპორტო კანტორაში არსებულ იმ დარღვევათა აღკვეთის უზრუნველსაყოფად, რომლებიც შემდგომში ავტოავარიის შემთხვევებს განაპირობებდა.

სასამართლო პროცესში მონაწილე პროკურორმაც მხარი დაუჭირა მ. ლატუტოვას შუამდგომლობას, მაგრამ სასამართლომ რატომღაც უყურადღებოდ დატოვა კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე ეს სამართლიანი და დასაბუთებული შუამდგომლობა.

1963 წლის 23 ივლისს ჭიათურის იურიდიული კონსულტაციის გამგე გ. მჭედლიშვილი ფასების უხეშად დამახინჯებისა და ფასდადების ფასეულობათა ბუნებრივ ეკონომიკაში მიცემულ ა. ი. ცერცვაძის ინტერესებს იცავდა. სასამართლომ საჩივენელი პროცესი მოაწყო ჭიათურის მაღაზიების ახალი ითხვისის მაღაროსამმართველოში. საქმის განხილვის პროცესში გ. მჭედლიშვილი ინ დასაკვნამდე მივიდა, რომ ა. ი. ცერცვაძის მიერ ჩადენილი დანაშაული სასადილოს ადგილის დეკანოზიძისა და მოლარე გოცაძის მხრივ უკონტროლობისა და დანაშაულებრივი დაუდგენრობის შედეგი იყო, რის გამო მან დასაბუთებული შუამდგომლობა აღძრა სასამართლოში მ. უკანასკნელთა მიმართ კერძო განჩინების გამოტანის შესახებ. სასამართლომ გაიზიარა გ. მჭედლიშვილის შუამდგომლობა, გამოიტანა კერძო განჩინება და გადაუწყვეტა ჭიათურის მარგანეტრუსტის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს დისციპლინური სასჯელის დასადებად.

იურიდიული კონსულტაციის გამგე იმითაც დაინტერესდა, თუ როგორი იყო რეაგირება სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებაზე და გამოარკვია, რომ დეკანოზიძესა და იმ პირებს, რომელთაც უკონტროლობა და სამსახურებრივი დაუდგენრობა დაუდასტურდათ, ჭიათურის მარგანტრუტის მუშათა მომარაგების განყოფილების მიერ მკაცრი დისციპლინური სასჯელი აქვთ დადებული.

დანაშაულის პროფილაქტიკისათვის ადვოკატი წინასწარ გამოძიების მიმდინარეობის პროცესშიც უნდა იღებდეს საჭირო ზომებს. გამოძიების სტადიაში საქმის გაცნობის დროს თუ ადვოკატი დარწმუნდა, რომ გაფლანგვა-მტაცებლობის წარმოშობის მიზეზი ამა თუ იმ საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის დანაშაულებრივი დაუდგენრობაა, იგი ვალდებულია არ დატოვოს ეს ფაქტი საჭირო რეაგირების გარეშე.

საქართველოს სსრ საწარმო-დაწესებულებებს სათანადო ხელშეგრულების შესაბამისად მევნი ადვოკატი უწევს იურიდიულ მომსახურებას. მარტო ქ. თბილისში 68 ადვოკატი 91 საწარმო-დაწესებულებას ემსახურება.

ხელშეგრულებით მიმაგრებულ ადვოკატებს სერიოზული მუშაობა მართებთ დანაშაულის პროფილაქტიკისათვის, ისინი ვალდებული არიან საჭირო შემთხვევაში საუბარი, ლექციები თუ მოსაუბრებები ჩაატარონ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ, რჩევა მისცენ საწარმოთა ხელმძღვანელებს კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების საკითხებთან დაკავშირებით და სხვ. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია თბილისის II უნივერმაღზე ხელშეგრულებით მიმაგრებული ადვოკატ შ. კვირიკაძის საქმიანობა.

შ. კვირიკაძემ გამოარკვია, რომ სასამართლოს აღმასრულებლები ხშირად უბრუნებდნენ უნივერმაღის დირექციას შეუსრულებელ სანოტარო აღსრულების ფურცლებს.

საკონლის ნისიად თუ განვადებით მყიდველს ინსტრუქციის შესაბამისად მხოლოდ პასპორტის წარმოდგენა ეკვლებოდა. ზოგიერთ შემყიდველი კი, იცვლიდა რა საცხოვრებელ ადგილს, აღარ ატყობინებდა დირექციას თავის უკანასკნელ ადგილსამყოფელს, რაც ძალზე ართულებდა თანხების ამოღებას და ეს ხშირად შეუძლებელიც ხდებოდა, რის გამო საკმაოდ დიდი ზარალი მოსდიოდა უნივერმაღს.

ამასთან დაკავშირებით შ. კვირიკაძემ წინადადება შეიტანა და ურჩია უნივერმაღის ხელმძღვანელობის საკონლის ნისიად მყიდველებისათვის მოეთხოვათ პასპორტთან ერთად სახლთმმართველობის ცნობა საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. ამ წინადადების განხორციელებით უზრუნველყოფილ იქნა ნისიად საკონლის ყველა მიმდებ პირთგან თანხების დროულად დაბრუნება.

ადვოკატი შ. კვირიკაძე ხშირად კითხულობა ლექცია-მოხსენებებს სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვისა და სხვა საკითხებზე.

დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში კარგად მუშაობენ აგრეთვე დაწესებულებებზე მიმაგრებული ადვოკატები ს. კობახიძე, ტ. ცინცაძე და სხვები.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ დაწესებულებაზე მიმაგრებული ზოგიერთი ადვოკატი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ცხადდება ორგანიზაციაში და არავითარ ქმედით ზომებს არ იღებს მოსალოდნელი დანაშაულისა თუ სხვა მატერიალური ზიანის აცილების უზრუნველსაყოფად.

დანაშაულის პროფილაქტიკისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის პროპაგანდას, მოსახლეობის წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით გამოსვლას, სამართლის თემებზე ჟურნალ-გაზეთებში სტატიების გამოქვეყნებას და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის ოქტომბრის, კიროვის და პირველი მაისის, აგრეთვე რუსთავისა და ცხაკაიას რაიონების იურიდიულ კონსულტაციებში მომუშავე ადვოკატთა საქმიანობა.

ფაბრიკასა და ქარხნებში ხშირად ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები. უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში პირველი მაისის რაიონის იურიდიულმა კონსულტაციამ კითხვა-პასუხის საღამო მოაწყო თამბაქოს № 1 ფაბრიკაში, კალინინის სახელობის ქარხანაში, ფანერის ფაბრიკაში და სხვა. ამავე რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები სისტემატურად მონაწილეობენ კინოთეატრებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში და ეურიდიულ რჩევა-დარიგებას აძლევენ მოქალაქეებს.

სამართლის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თბილისის კიროვის რაიონის-იურიდიული კონსულტაციის გამგე ს. სიხარულიძე, ადვოკატები ი. ბრაილოვსკი, გ. შონია და სხვები.

ადვოკატთა კოლეგიების დებულების მე-18 მუხლში ნათქვამია: „ადვოკატი მოვალეა თავისი ცოდნის სრულყოფისათვის, თავისი ეიდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის“.

ამგვარად, პირველ რიგში საკუთარ თავზეა ზრუნვა საჭირო, რომ სამართლის ნამდვილი პროპაგანდისტი იყო. ზოგიერთი ადვოკატი კი ეწევა კარჩაკეტილ ცხოვრებას და არავითარ მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასეთები არიან თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციიდან ადვოკატი მ. სააკაშვილი, ლენინის რაიონის კონსულტაციიდან ხ. დარახველიძე, გარდაბნის რაიონიდან ა. თავბერიძე, ყვარლის რაიონიდან ი. ბაბალაშვილი და ტყიბულის რაიონის კონსულტაციიდან ადვოკატი ვ. მამინაშვილი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი კვლავ საჭირო ღონისძიებებს განახორციელებს მოსახლეობაში სამართლის პროპაგანდისა და საერთოდ დანაშაულის პროფილაქტიკის გაღარების უზრუნველყოფისათვის.

ყოველი ადვოკატი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანის — ჩვენს ქვეყნაში დანაშაულის უმოკლეს ვადაში შემცირებისა და საბოლოოდ მისი სრული ლიკვიდაციის საქმეში.

ა. პაიჭაძე,
საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ადვოკატის როლი დანაშაულის პროფილაქტიკის დარგში

პალმირო ტოლიატი

მთელი ხალხის მწუხარეგა

რომი, 24 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

რომში აგვისტოსათვის უჩვეულო ამინდი დგას — მოღუშულია ცა, დრო-დადრო წვიმს. ეს თითქოს ხაზს უხვამს მწუხარების საერთო გრძნობას. იტალია დასტირის დიდ მებრძოლს. დღისითაც და ღამითაც დაუსრულებლად მოედინება ადამიანთა ნაკადი იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ, სადაც ასვენია პალმირო ტოლიატის ცხედარი. გუშინდელ საღამომდე კუთხის ჩაუარა 100 ათასზე მეტმა კაცმა, ბოლო არ უჩანს საყოველთაო სახალხო მწუხარებას. კუბო, რომელშიც ტოლიატის ცხედარი ასვენია, დაფარულია იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშითა და საძ. ფეროვანი ეროვნული ალმით. კუბოს წინ გვირგვინებია, რომლებიც მოიტანეს იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, იტალიის მშრომელთა, მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების სახელით. ერთ-ერთ გვირგვინზე წარწერილია: „საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელს, დაუვიწყარ ამხანაგს პალმირო ტოლიატის — სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან“.

ტოლიატის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად რომში ჩამოდიან მომმე პარტიათა სულ ახალი დელეგაციები. სკკპ დელეგაციის შემდეგ, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს, ჩამოვიდნენ ჩილის, პოლონეთის, მაროკოს, ავსტრალიის, კანადის, ბულგარეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის და მთელი რიგი ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიათა წარმომადგენლები.

იტალიის ყველა ქალაქიდან და პროვინციიდან სპეციალური მატარებლებითა და ავტობუსებით რომში უკვე ჩამოდიან იტალიელ მშრომელთა წარმომადგენლების მრავალათასიანი დელეგაციები. 25 აგვისტოს ისინი კოლონად მოეწყობიან და კვლავ გაჰყვებიან ტოლიატის, ამჯერად გამოსათხოვებლად.

სან-ჯოვანის მოედანზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ გაისმოდა ხმა სახალხო ტრიბუნისა, რომელიც მასებს მოუწოდებდა ბედნიერი მომავლისათვის საბრძოლველად, ტოლიატის მეგობრები და თანამებრძოლები უიცს დადებენ, რომ ერთგულად დაიცავენ მის ანდერძს, მაღლა ატარებენ პარტიის დროშას.

მოძმე პარტიათა სამკიმარი

რომი, 23 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ დღეს აქვეყნებს მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მრავალ წერილს, რომლებიც სამძიმარს გამოთქვამენ ამხანაგ პალმირო ტოლიატის გარდაცვალების გამო. ეს წერილები, რომლებსაც უკავია გაზეთის შუა ფურცელი, გამოგზავნეს ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ, რუმინეთის შუშათა პარტიამ, გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ, კუბის სოციალისტური რეოლუციის ერთიანმა პარტიამ, ცეილონის, კორეის, ჩილის, იაპონიის კომპარტიებმა, ერთიანმა დემოკრატიულმა მუმარცხენე პარტიამ, ბულგარეთის სამამულო ფრონტმა და სხვ.

გლოვობს იტალიელი ხალხი. გარდაიცვალა მშრომელთა საქმისათვის მებრძოლი პალმირო ტოლიატი. იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ უწყვეტ ნაკადად მიდიან ათასობით ადამიანები — მუშები, გლეხები, ინტელიგენტები — რათა გამოეთხოვონ იტალიელი კომუნისტების ხელმძღვანელს (სურათი მარცხნივ); იტალიის კომპარტიის ტოლიატის ხსოვნის წიგნი. ამ წიგნებში ხელს აწერს მილიონობით ადამიანი. მარჯვენა სურათზე — რომის ახალგაზრდა მუშები ხელს აწერენ ტოლიატის ხსოვნის წიგნში.

გაიმარჯვა კომუნისტმა

პარიზი, 24 აგვისტო. (საკდესი). ქალაქ ვენში (ზემო ალპების დეპარტამენტი) ქალაქის გენერალური მრჩევლის პოსტზე კვლავ აირჩიეს კომუნისტი მერიე. დამატებით არჩევნებში, რომელიც გუშინ მოეწყო, მან მოაგროვა 338 ხმით მეტი ვიდრე მემარჯვენეთა კანდიდატმა (ამომრჩეველთა საერთო რიცხვია 2.916).

გაზეთი „ლუმანიტე“ მკითხველებს ახსენებს, რომ წინა არჩევნებში 1961 წელს მერიემ მიიღო 14 ხმით მეტი, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგემ. ამ უკანასკნელის საჩივრის შედეგად წინა არჩევნები გაუქმებულად ჩათვალეს და გუშინ მოეწყო ხელახალი არჩევნები.

მიზეზია შემეშვროგა

სტამბოლი, 24 აგვისტო (საკდესი). როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, 80 ათასზე მეტი თურქი მუშა. გაემგზავრა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოს საძებნელად 1961 წლის დამდეგიდან 1964 წლის ივლისამდე.

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

საარჩევნო ცხელ-ცხელება ამერიკაში

გოლდუოტერი მომხრეებს ეძებს

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე სენატორი ბარი გოლდუოტერი გუშინ ჩავიდა ნიუ-იორკში, რათა შეიპიროს წამყვანი ფინანსური მაგნატები და დიდი ბიზნესის წარმომადგენლები, რომ მხარს დუჭერენ.

ეს, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ აღნიშნავს, „პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის ერთობ უჩვეულო მისიაა“, საქმე ის არის, რომ ნიუ-იორკის ფინანსურ მაგნატთა უმრავლესობა წარსულში ტრადიციისამებრ რესპუბლიკელ პარტიას უჭერდა მხარს.

მაგრამ მომდინარე წელს მდგომარეობა შეიცვალა. გოლდუოტერის შეხვედრებმა, განსაკუთრებით მისმა გამოსვლებმა ომის ზღვარზე მაღალსინირების უგუნური პოლიტიკის სასარგებლოდ საერთაშორისო საქმეებში ბევრი წამყვანი ბიზნესმენი ჩამოაშორა მას. ზოგიერთმა მათგანმა უკვე განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს პრეზიდენტ ჯონსონს პრეზიდენტის არჩევნებში მომდინარე წელს, ზოგი კი, არსებული ცნობების თანახმად აპირებს კაფილი გაწყვიტოს რესპუბლიკურ პარტიასთან.

გასულ კვირაში „პეპსი-კოლა კომპანიის“ ყოფილმა პრეზიდენტმა უოლტერ მეკმა, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებს რესპუბლიკური პარტიისათვის სახსრების შეგროვებაში, გამოაცხადა, რომ ქმნის კომიტეტს „დამოუკიდებელი რესპუბლიკელები და მოქალაქეები ჯონსონის არჩევისათვის“. „ბარი გოლდუოტერის არჩევა, — თქვა მან, — ლახვარს ჩასცემდა არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოსაც“.

კიპრიანუს ვიზიზი ათენში

ათენი, 24 აგვისტო (საკდესი). დღეს საბერძნეთის მთავრობის მოწვევით ათენში ჩამოვიდა კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სპიროს კიპრიანუ. იგი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს კოსტოპულოსს და მონაწილეობა მიიღო თათბირში, რომელიც გაიმართა საბერძნეთის პრემიერის გ. პაპანდრეუს თავმჯდომარეობით.

საღათას ძილის ეპიდემია

ენცეფალიტის — საღათას ძილის — მწვავე ეპიდემია გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების ტენესის შტატის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ჰიუსტონში, რომლის მოსახლეობა 1 მილიონ კაცს აღემატება. დაავადება აღნიშნულია ამ შტატის სხვა ქალაქებშიც. ეპიდემიის მიზეზია ქინქლის კბენა. ენცეფალიტისაგან უკვე გარდაცვალა 17 კაცი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქალაქის მცხოვრებლებმა განგაში ატეხეს, ქინქლის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს ვერტმფრენავი, რომელმაც განახორციელა მექსიკის ყურის სანაპირო ზოლის დამტვერვა.

დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე

ატლანტიკ-სიტი, 25 აგვისტო (საკდესი). სპეციალური კორესპონდენტები გ. ვასილიევი და ვ. ვაშედჩენკო იუწყებიან:

გუშინ საღამოს ატლანტიკ-სიტიში (ნიუ-ჯერსის შტატი) გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის 34-ე ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა უნდა დაასახელონ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები და დაამტკიცონ პარტიის საარჩევნო პროგრამა.

ყრილობის მუშაობა ტრანსლირებულია რადიოთი და ტელევიზიით. მისკენ არის მიპყრობილი მთელი ამერიკის ყურადღება. პარტიელი წევრებიდანვე დელეგატები, რომლებიც „კონვენშენ ჰოლში“ შეიკრიბნენ, წაიწყვეტენ დიკუსიებს „ამბოხს“. სამნადატო კომისიის თავმჯდომარემ ლოურენსმა გამოაცხადა, რომ ალაბამის დელეგატებს ნებას მისცემენ მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ფიცს დადებენ“, რომ მხარს დაუჭერენ დემოკრატიული პარტიის კანდიდატს პრეზიდენტის პოსტზე. ამ შტატის დელეგატები, სადაც რასისტები კონტროლს უწევენ დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას, არ მალავენ თანიანთ სიმპათიებს გოლდუოტერისადმი და ამიტომ არ სურთ იკისრონ ვალდებულება, რომ მხარს დაუჭერენ დემოკრატიული პარტიის კანდიდატს. მათ უარი თქვეს „ფიცის დადებაზე“, ყრილობამ კი ამიტომ არ ცნო მათი რწმუნებანი.

მეორე საკითხი, რომელმაც გამოიწვია სასტიკი კამათი და ხანგრძლივი ფარული ბრძოლა, იყო საკითხი მისისიპის შტატის წარმომადგენლობის შესახებ, საიდანაც ყრილობაზე ჩამოვიდა 2 დელეგაცია — რასისტული და „თავისუფლების დემოკრატიული პარტიის“ დელეგაციები. სამანდატო კომისიამ პირობა დადო, რომ გადაწყვეტილებას ამ საკითხზე 25 აგვისტოს გამოაცხადებს. ჯერჯერობით კი ორივე დელეგაციის წევრები როგორც სტუმრები მიიწვიეს ქანდარაზე.

პროგრამული პოლიტიკური სიტყვა წარმოთქვა სხდომაზე სენატორმა პასტორემ. ფაქტიურად ეს სიტყვა იყო პარტიის იმ შეხედულებებისა და მიზნების მოკლე შინაარსი, რომლებიც აისახა საარჩევნო პლატფორმის პროექტში. „ამ ყრილობის მთავარი ამოცანაა, — განაცხადა პასტორემ, — აღვუთქვათ ჩვენს ხალხსა და მსოფლიოს ხალხებს, რომ ამერიკის პოლიტიკურ სცენაზე კვლავ არსებობს კეთილგონიერება, პატივისცემა და პასუხისმგებლობა“.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, თქვა პასტორემ, რომ მხოლოდ სამი კვირის წინათ აღვნიშნეთ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების პირველი წლისთავი, „რაც გამარჯვება იყო მთელი კაცობრიობისათვის“.

თავის სიტყვაში პასტორემ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო პროგრამის კრიტიკას. მან თქვა, რომ „რესპუბლიკური პარტია ხელში ჩაიგდეს რეაქციონერებმა და ექსტრემისტებმა“.

საერთაშორისო სიმპოზიუმი

ვაშინგტონი, 24 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავისი საელჩოებისა და მისიების საშუალებით მიწვევა გუგზავნა 114 ქვეყნის მთავრობებს, რომ მონაწილეობა მიიღონ პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმში წყლის გამტკნარების საკითხებზე. სიმპოზიუმი გაიმართება 1965 წლის 3-დან 9 ოქტომბრამდე ვაშინგტონში.

ინდოეთი

ბრაღა მოელის ძვირფას სტუმარს

ბრაღა, 24 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. მასლენიკოვი იუწყება:

შეხვედრები საბჭოთა დელეგაციასთან ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ახალ შესანიშნავ შესაძლებლობას მოგვცემს დავადასტუროთ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ძმობის. ჩვენი მზარდი თანამშრომლობის ურდვეობა. მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რაც გაგვიწია ფაშისტური მონობისაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებასა და ომისშემედგომ სოციალისტურ მშენებლობაში, განუცხადა ჩვენს კორესპონდენტს ოსტრაველმა მაღაროელმა ფრანტიშეკ მატოუშეკმა.

აღტაცებითა და სიხარულით, დასძინა მან, მიკვლალმებით იმას, რომ ჩვენს ქვეყანას ეწვევა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის დიდი მეგობარი, საბჭოთა კავშირის გამოჩენილი ხელმძღვანელი, რომელიც ყოველთვის — მძიმე განსაცდელის დღეებსა და მშვიდობიანი შრომის წლებში — მუდამ ძმურად ეხმარებოდა და მხარს უჭერდა ჩვენს ხალხს.

ოსტრაველი მეშახტეები, ისევე როგორც პრაღისა და ბრნოს მუშები, ბრატისლავისა და ბანსკა-ბისტრიცის მცხოვრებლები, როგორც მთელი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ხალხი, ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტით ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. გაზეთების რედაქციებში, პარტიულ ორგანიზაციებსა და ეროვნულ კომიტეტებში მოდის ბევრი წერილი, რომლებშიც ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები მადლიერებისა და მეგობრობის გრძნობებს გამოხატავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის მიმართ.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო საბჭოთა სტუმრებო!“ — ამ სიტყვებს იმეორებენ დღეს მთელი სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები.

ინდოეთის ეროვნული ალმის ამაღლება

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ალმის ამაღლებასა და ინდოეთის ეროვნული ჰიმნის ანკლავზე ბოლო ინდოელ ჯარისკაცებმა ინდოეთ-ჩინეთ-ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთობა ინდოეთ-ბირმის ურთიერთ

ინ რაზე წერს უცხოეთის პრესა

ნიუ-იორკის გაზეთები ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობენ დემოკრატიული პარტიის ყრილობას, რომელიც ატლანტიკ-სიტიში (ნიუ-ჯერსი) იხსნება. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად ჯონსონის დასახელება ეჭვს არ იწვევს. სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ იმის შესახებ, თუ ვის დაასახელებენ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად.

კონგოს ამბები წინანდებურად იპყრობს გაზეთების ყურადღებას. თვალსაჩინო ადგილს ლონდონის გაზეთები იუწყებიან, რომ პრემიერი ჩომბე სამხრეთ როდეზიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აგროვებს თეთრკანიან დაქირავებულებს თავისი არმიისათვის. ამერიკის „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ოიჰანესბურგიდან მიღებული ცნობა, რომ სამხრეთაფრიკელი ავანტიურისტები, რომლებიც ჩომბეს ინტერესებს იცავდნენ როგორც დაქირავებულნი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩომბე ცდილობდა კატანგის გამოყოფას, ახლა კონგოს არმიაში შედიან. ინგლისის „**დეილი ტელეგრაფი**“ ცნობას დაქირავებულთა შეგროვების შესახებ პირველ გვერდზე აქვეყნებს. გაზეთის კორესპონდენტი ჩომბეს მოქმედებას „სასოწარკვეთილების აქტს“ უწოდებს. კორესპონდენტის აზრით, „თუ ევროპის მხარდაჭერა არა, საეჭვოა, რომ ჩომბემ შეძლოს აჯანყებულთა შეტევის შეჩერება“. „დეილი მეილის“ კორესპონდენტი ქალაქ ბუკავუდან გადმოცემულ ოპორტაჟში აღწერს, თუ რა მხეცურად აწამა კონგოს არმიის სადამსჯელო რაზმმა ტუკე აჯანყებულები.

რაზეზრაც პრესის ცნობებიდან ჩანს, ნატოს ქვეყნები გამალებით იწყებენ ახალ შეტევას კვიპროსის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ლონდონის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ხალხში „კვლავ იზრდება ანტიამერიკული მოტივები“. „სტუდენტთა ეს ანტიამერიკული განცხადებანი, როგორც ჩანს, გამოხმაურებაა ვაშინგტონის განცხადების გამო, რომ მხარს უჭერს გენერალ ჭანის მთავრობას“.

დასავლეთ გერმანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ბონში ჩადის ს. ლოჯი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონის სპეციალური რწმუნებული. როგორც გაზეთები ხაზს უსვამენ, ამ ვიზიტის მიზანი ის არის, რომ ფედერალურ მთავრობას გააცნონ ამერიკის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და კვლავ აღძრან საკითხი, რომ „დასავლეთმა გერმანიამ გააძლიეროს დახმარება სამხრეთ ვიეტნამისადმი“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი წერს, რომ საბჭოთა კავშირი მეტალურგიულ ქარხანას დააპროექტებს და ააშენებს ბოკაროში (ინდოეთი).

ლონდონის გაზეთები წერენ სტუდენტთა დემონსტრაციების შესახებ სიდგაპურში და სინგაპურის მთავრობის იმ მუქარის შესახებ, რომ შეზღუდავს ინგლისის საქონლის შეზიდვას.

უკეალა გაზეთი იუწყება, რომ საბჭოთა კავშირში კვლავ წარმატებით გაუშვეა სამი თანამგზავრი. ინდოეთის გაზეთი „პეტრიოტი“ ამ ცნობას აქვეყნებს სათაურით „საბჭოთა კოსმოსური მეცნიერების ახალი მიღწევა“. (საკდესი).



სხვადასხვა მერიდიანებზე

ტოკიოში გაიხსნა იაპონელი დედების მეათე კონგრესი. კონგრესში მონაწილეობს დაახლოებით 10.000 ქალი, რომლებიც იაპონიის სხვადასხვა კუთხიდან ჩავიდნენ.

კონგრესის მონაწილეებმა გამართეს დემონსტრაცია ლოზუნგებით: „განათლება ბავშვებს“, „მშვიდობა“, „ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა“.

ნიუიორკ-ნიუსში (ამერიკის შეერთებული შტატები) წყალში ჩაეშვეს ახალი წყალქვეშა ნავი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო იუწყება, ეს ნავი აღჭურვილ იქნება „პოლარისის“ რაკეტებით.

დაზუსტებული მონაცემებით, თოთხმეტი კაცი დაიღუპა, ცამეტი დაშავდა გრიგალ „კლეოს“ შედეგად, რომელიც 22 აგვისტოს დაატყდა თავს გვადელუპას. გრიგალმა საფრანგეთის ამ კოლონიას მიაყენა 300 მილიონი ფრანკის ზარალი.

ინდონეზიის სამხედრო ხელისუფლებმა სამხრეთ სულაველისის სანაპიროზე ხელთ იგდეს დასავლეთის ნიმუშების იარაღისა და სამხრეთ ლო მასალის დიდი პარტია, რომელიც არალეგალურად იყო შეტანილი მალაზიიდან.

როგორც ვენესუელიდან იუწყებიან, 100-ზე მეტი კაცი ჩავარდა წყალში, როცა ჩაინგრა მდინარე კარონის ხიდი ბოლივარის პროვინციაში. დაიღუპა დაახლოებით 20 კაცი. ბევრი დაშავდა.

გასული წლის აგვისტოსთან შედარებით კარტოფილის ფასები დასავლეთ ბერლინში 43.5 პროცენტით გადიდდა, ძროხის ხორცი 12,6 პროცენტით გაძვირდა. გადიდდა აგრეთვე ცხვრის ხორცის, კარაქის, რძის ნაწარმის, თევზის ფასები. (საკდესი).

ქსანის გადადგომა

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო (საკდესი). სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაციების შედეგად დღეს სამხრეთ ვიეტნამის მთავრობა იძულებული იყო გამოეცხადებინა, რომ გადადგა პრეზიდენტი ქხანი და გაუქმებულია 16 აგვისტოს მიღებული კონსტიტუცია. ამას იუწყება საიგონიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტო.

სამხედრო ხუნტამ გადაწყვიტა თავის უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც დღეს ღამით გაიმართება, გამოაცხადოს თვითდათხოვნა, ახალი პრეზიდენტის დანიშვნა და მთავრობის არჩევა.

აჯანყებულთა ახალი წარმატება

პარიზი, 24 აგვისტო (საკდესი). კონგოელი აჯანყებულები, რომლებსაც ხელმძღვანელობს გასტონ სუმიალო, გუშინ შეავიდნენ პატარა ქალაქ ბუმბაში. ეს ქალაქი მდებარეობს სტენლივილიდან დასავლეთით მდინარე კონგოზე. ბუმბა, იუწყება ლეოპოლდვილიდან ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, აჯანყებულებმა უომრად დაიკავეს. ქალაქში მყოფი კონგოს ეროვნული არმიის ნაწილები უკიექცნენ, როცა გამოჩნდნენ აჯანყებულთა ძალების რაზმები. ევროპელმა მოსახლეობამაც დატოვა ქალაქი.

ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ბუკავუში იმყოფება, იუწყება, რომ კონგოს აღმოსავლეთ ნაწილის ეს უდიდესი ცენტრი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზი იყო, ჯერ კიდევ ალყაშემორტყმულ ქალაქს მოგვაგონებს. თუმცა ლეოპოლდვილის მთავრობის ნაწილებმა უკუაგდეს აჯანყებულები ქალაქიდან, აჯანყებულები მაინც გამაგრდნენ ახლომდებარე ბორცვებზე. ქალაქში დრო და დრო ისმის სროლა. წინათ საინფორმაციო საგენტოების ცნობებში აღნიშნული იყო, რომ სადაზვერვო თვითმფრინავებმა აღმოაჩინეს აჯანყებულთა ახალი კოლონა, რომელიც კინდუდან ბუკავუსკენ მიიწევდა. „ბელგიის სამხედრო მრჩევლებს, — ნათქვამი იყო ცნობაში, — ეშვი ეპარებათ, რომ მთავრობის დაუძლურებული ჯარები ამ რაიონში შეძლებენ გაუწონონ წინააღმდეგობა აჯანყებულთა ახალ დიდ შეტევას.



პირველი საყოველთაო არჩევნები პონდიშერიში

დელი, 25 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის ყოფილ კოლონია პონდიშერიში, რომელიც 1962 წელს შეეიდა ინდოეთის შემადგენლობაში, გაიმართა პირველი საყოველთაო არჩევნები. ადგილების ამოსულტური უმრავლესობა საკანონმდებლო კრებაში მოიპოვა პარტიამ ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა.

ამერიკა ღელავს

24 აგვისტოს საკურორტო ქალაქ ატლანტიკ-სიტიში გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ეროვნულ-საარჩევნო კონვენტი (ყრილობა); კონვენტმა უნდა დაასახელოს დემოკრატიული პარტიის კანდიდატები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტებზე და დაამტკიცოს პროგრამა. დელეგატები გადატვირთული არ იქნებიან მუშაობით, ვინაიდან თითქმის ყველა საკითხი წინასწარ არის გადაწყვეტილი.

პრეზიდენტი ნ კანდიდატი დიდ ხანია ცნობილია — ეს არის ახლანდელი პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი. ვიცე-პრეზიდენტობის მთავარი პრეტენდენტია სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერის თანაშემწე ჰუბერტ ჰემფრი. იგი მრავალი წლის მანძილზე იყო სენატში მინესოტის სასოფლო-სამეურნეო შტატის წარმომადგენელი და გაელენით სარგებლობს შუა დასავლეთის ფერმერთა შორის. მას მხარს უჭერენ პროფკავშირები. ჰემფრის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც იგი სენატში ეწეოდა ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციისა და ხანგთა მოქალაქეობრივი უფლებების კანონის დამტკიცებისათვის.

მაგრამ სწორედ უკანასკნელი გარეგოება აიძულებს ყველა გამოცდილ პოლიტიკურ წინასწარმეტყველს სიტყვა „თითქმის“ დაუმატოს, როცა ამბობენ, რომ ჰემფრის დასახელების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ჯონსონმა, როგორც აქ მიაჩნიათ, აცილება მისცა რობერტ კენედის კანდიდატურას, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სამხრეთელ რასისტებს სძულთ იუსტიციის მინისტრი, ისე, როგორც სძულდათ მისი ძმა პრეზიდენტი კენედი. არც ჰემფრი უყვართ რასისტებს. ახლო რასობრივი სეგრეგაციის მომხრეები დემოკრატიული პარტიიდან გოლდუოტერის ბანაკში გადადიან და, როგორც აქ შესაძლებლად მიაჩნიათ, ჯონსონი დათმობაზე წავა რასისტების მიმართ, რათა შეაფერხოს ეს პროცესი.

ყრილობაზე შეიძლება გაჩაღდეს ბრძოლა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ყველაზე მწვავე პრობლემასთან — რასობრივ პრობლემასთან. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწენი ყოველ ღონეს ხმაროებენ, რათა კომპრომისი გამოძებნონ და თავიდან აიცილონ კამათის გადატანა პლენარულ სხდომებზე. ზანგთა ლიდერების გამოსვლებმა ცხადყვეს, რომ ასეთი კომპრომისი შესაძლებელია.

პროგრამის გამოუშვავების დროს და ყრილობის შემდეგ დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმა უნდა გადაჭრან პოლიტიკური სტრატეგიის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

ჩვეულებრივ წინასაარჩევნო ბრძოლის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს ნიველირების დაფწერელი კანონი. რესპუბლიკელები ცდილობენ გადაიბირონ ამომრჩეველთა მერყეული ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ მეტოქე პარტიას აძლევს ხმას და, ამიტომ, ამტკიცებენ რომ დემოკრატებზე ნაკლებად არ შეუძლიათ გაეხარკოვლონ ყოველგვარი რეფორმა. დემოკრატები კი ცდილობენ დაარწმუნონ ამომრჩეველები, რომ რესპუბლიკელებზე ნაკლებად მებრძოლი ანტიკომუნისტები არ არიან. ამის შედეგად კანდიდატები პოლიტიკურ ტყუპებად გადაიქცევიან ხოლმე, რომლებსაც ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ ბრძოლის ასეთ ლოგიკას ის მოჰყვა, რომ 30 მილიონი ამერიკელი არ მონაწილეობს პრეზიდენტის არჩევნებში.

მაგრამ რესპუბლიკელების მიერ ულტრარეაქციონერი კანდიდატის დასახელებამ შექმნა ახალი ვითარება, რომლის დროს აღარ გამოდგება პოლიტიკანების ძველი ლოგიკა. ახლა ირღვევა ამომრჩეველებისა და პარტიების ტრადიციული ურთიერთობა. მოსახლეობის უკანასკნელი გამოკითხვის მონაცემებით იმ ამომრჩეველთა 13 პროცენტი, რომლებიც ჩვეულებრივ დემოკრატებს აძლევდნენ ხმას, აპირებს ხმა მისცეს გოლდუოტერს. უმთავრესად ესენი არიან სამხრეთელი რასისტები. ამავე დროს, რესპუბლიკელთა 30 პროცენტზე მეტი აპირებს ხმა მისცეს ჯონსონს. მათი მთავარი მოტივია: „არ შეიძლება გოლდუოტერს ვანდოთ ატომური ომის კნოპი!“.

შეუძლიათ თუ არა დემოკრატებს იქონონონ ამ ადამიანთა მხარდაჭერის იმედი, თუ დაამტკიცებენ, რომ მათსა და გოლდუოტერს შორის არ არის არსებითი განსხვავება? ისინი ხომ პარტიულ საზღვარს გადადიან სწორედ იმ იმედით, რომ დემოკრატთა პოლიტიკა არსებითად განსხვავებული იქნება მათი საკუთარი პარტიის კანდიდატის პოლიტიკისაგან.

ამერიკაში ფართოდ გავრცელებული შიში, რომ თუ გოლდუოტერმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ამას შეიძლება მოჰყვეს მსოფლიო ომი, — რესპუბლიკელთა კანდიდატის ყველაზე სუსტი მხარეა. ეს ესმით გოლდუოტერის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები ახლა სასწრაფოდ ახსნაფურებენ თავიანთ კანდიდატს, ცდილობენ „მშვიდობისმყოფლად“ წარმოადგინონ იგი და გასამართლებელ „განმარტებებს“ იგონებენ მისი წინანდელი აგრესიული განცხადებებისათვის.

რასკინ, მაკნამარასა და სტევენსონის ამასწინანდელი გამოსვლები პროგრამის მოსამზადებელ კომისიაში მოწმობენ, რომ დემოკრატებმა გადაწყვიტეს მშვიდობისა და ომის საკითხებზე გოლდუოტერთან კამათი გადაიქცეონ თავიანთი წინასაარჩევნო აგიტაციის საფუძვლად. მათი გამოსვლების მთავარი აზრი ის იყო, რომ სანამ თეთრ სახლში დემოკრატი ჯონსონია, მშვიდობა საიმედო ხელშია. მაგრამ დემოკრატებს არ შეუძლიათ ეფექტიანად გამოიყენონ მშვიდობის ლოზუნგი და ამავე დროს ცდილობენ თავიანთი პოლიტიკით აზიასა და აფრიკაში დაამტკიცონ, რომ გოლდუოტერზე უარესად არ შეუძლიათ ბალანსირება ომის ზღვარზე.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობისაგან არაორაზროვანი პასუხი გასცეს სხვა საარსებო კითხვებზეც. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტების ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ახლა დემოკრატებს თითქმის ერთიანად მეტი მომხრე ჰყავთ, ვიდრე გოლდუოტერს, ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფენ გამარჯვებას. პირველადმა არჩევნებმა კალიფორნიაში დაადასტურა, ძველი ეუშმარიტება, რომ არჩევნები ბაბილონ ლაბირინთ ... [illegible]

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1964 წ.

ჩვენი ინტერვიუ

პოეტი და დრო



ქართველი მკითხველი კარგად იცნობს პოეტ შალვა აფხაიძის შემოქმედებას. იგი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მონოგრაფიები გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მხახიობებზე, მაქსიმ გორკის „დედისა“ და დიმიტრი ფურმანოვის „ჩაპაევის“ თარგმანები. შალვა აფხაიძე უაღრესად ფაქიზი გემოვნების შემოქმედია. ეს სიფაქიზე ატყვია მის ყოველ ლექსს, წერილსა თუ თარგმანს.

ახლახან შალვა აფხაიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. საყვარელ პოეტს გულითა და სულით მიესალმნენ მადლიერი მკითხველები, ჩვენი საზოგადოებრიობა.

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე შალვა აფხაიძე არაერთხელ გამოსულა „კომუნისტის“ ფურცლებზე. იგი ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარია. პოეტი გუშინაც ეწვია „კომუნისტს“ და რამდენიმე ახალი ლექსი მოიტანა.

ჩვენმა კორესპონდენტმა პოეტს დაბადების დღე მიულოცა და სთხოვა რამდენიმე სიტყვით მოეთხრო „კომუნისტის“ მკითხველებისათვის, თუ რაზე მუშაობს ამჟამად და რა შემოქმედებითი გეგმები აქვს.

— ამ ცოტა ხნის წინათ, — თქვა შალვა აფხაიძემ, — „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ჩემი წერილების კრებული, რომელსაც „ადამიანები და წიგნები“ ჰქვია. ამ კრებულში თავმოყრილია ის წერილები, უკანასკნელ ხანს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე რომ ვაქვეყნებდი. მიზანი ერთი მქონდა — მკითხველებისათვის გამეზიარებინა ზოგიერთი ჩემი დაკვირვება ი. აბაშიძის, ა. კალანდაძის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ე. ცირკვიძისა და ლ. ასათიანის შემოქმედებაზე.

სულ მალე, ალბათ სექტემბერში, გამოვა ჩემი ლექსების ახალი კრებული. ამჟამად კი კვლავ ლიტერატურულ წერილებზე ვმუშაობ. მინდა ისევ ჩემს მეგობრებზე — ს. შანშიაშვილზე, გ. ლეონიძეზე, ს. ჩიქოვანზე, ს. კლდიაშვილზე, კ. ნადირაძეზე და ვ. გაფრინდაშვილზე ვთქვა რაიმე გულთბილად, მეგობრულად, სიყვარულით.

— სამოცდაათი წლის პოეტს სრული უფლება აქვს საკვეყნოდ გაეხსენებროს თავის მკითხველები, ილაპარაკოს პოეზიის არსსა და დანიშნულებაზე, პოეტის მოვალეობაზე საზოგადოების წინაშე. რა იყო თქვენი პოეტური იდეალი, რა მიგაჩნიათ მწერლობის და, კერძოდ, პოეზიის საარსებო წყაროდ, დედააზრად?

კორესპონდენტის ამ კითხვაზე აი რა თქვა პოეტმა:

— ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა გენიალურად განსაზღვრა პოეზიის არსი. მისი თქმით „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. პოეზიას მხოლოდ ლექსი როდი განეკუთვნება. სუსტია ის მხატვრული პროზა და მით უმეტეს დრამატურგიული ნაწარმოები, რომელშიც პოეტური თრთოლვა არ იგრძნობა. პოეზიას დიდი შოთა რუსთაველი უპირველეს ყოვლისა სიბრძნის ერთ-ერთ დარგად თვლის. სიბრძნე კი სამყაროს შეცნობის მთავარი საშუალებაა. მხატვრული ლიტერატურის და, კერძოდ, პოეზიის დანიშნულებაა ობიექტურად არსებული სინამდვილის, მისი კანონზომიერების, საზოგადოებრივი მოვლენების შეცნობა. როგორც მიღებულია, პოეზიას იგივე ფუნქცია აკისრია, რაც ზუსტ მეცნიერებას, იმ განსხვავებით, რომ სინამდვილეს პოეზია შეიცნობს არა ცნებებით არამედ გრძნობადი პოეტური სახეებით.

მხატვრული ლიტერატურა, პოეზია ამდიდრებს და აფაართოებს ადამიანის სულიერ ავლადიდებას, აკეთილშობილებს. აფაქიზებს და აღამაღლებს ადამიანის სულს. ეს უკვე დიდი რამ არის. პოეზია, განსაკუთრებით ლირიკული პოეზია, ისევე როგორც მუსიკა, ადამიანს აღუძრავს გარკვეულ სულიერ განწყობილებას, იწვევს აზრის მოძრაობას. პოეზია აიარაღებს ადამიანს მორალური თანაგრძნობით, ხელს უწყობს ადამიანში გარკვეული ხასიათის ჩამოყალიბებას.

მხატვრულ ნაწარმოებს ასაზრდოებს სინამდვილე, თუმცა ის სინამდვილეზე მეტია. სწორედ ეს „მეტი“ რამ არის ის, რაც გარკვეული ეპოქის საზღვრებს სცილდება და საუკუნეებში ცოცხლობს. უეჭველია, რუსთაველს, დანტეს და პეტრარკას სინამდვილეში არსებული პირები ჰყავდათ პროტოტიპებად, როცა ნესტანსა და ტარიელს, თინათინსა თუ ავთანდილს, ბეატრიჩესა და ლაურას სახეებს ქმნიდნენ ეს ორეულები დავიწყებას მიეცნენ, ხოლო ნესტანი, თინათინი, ტარიელი, ავთანდილი, ბეატრიჩე თუ ლაურა ჩვენს წარმოდგენაში განაგრძობენ სიცოცხლეს, ცოცხალი რჩება ის, რითაც შემოქმედმა ისინი დააჯილდოდა და რაც სინამდვილეზე უფრო ნამდვილია. ასეთია ჭეშმარიტი პოეზია ადამიანის სულიერ გარდაქმნას ემსახურება. ამიტომ ეკისრება მას დიდი როლი ჰარმონიული საზოგადოების შექმნის საქმეში. ამიტომ უთმობენ ჩვენი ხალხი და პარტია ესოდენ დიდ ყურადღებას მხატვრულ სიტყვას, რომელსაც ევალება ადამიანის ესთეტიკური აღზრდა, სინამდვილის არა მარტო ასახვა, არამედ მისი გარდაქმნაც. ამ მნიშვნელოვანი მოწოდების შესრულებას მხატვრული სიტყვა, ცხადია, უკეთ შეძლებს იმ შემთხვევაში, თუ ამ სიტყვის ავტორი სინამდვილეს ობიექტურად აღიქვამს და რეალიზმის გზას არ ასცდება.

არის ისტორიული სინამდვილე და თანამედროვეობა. ჩვენი ხალხი წარსულს ვერ გამოეთიშება, იმდენად დიდი და საამაყოა ეს წარსული. მაგრამ მთავარი ჩვენი თანამედროვეობის მაჯისცემაა. სიტყვის მხატვარი, ისე როგორც ფერწერული მხატვარი, თანამედროვეობას უფრო უშუალოდ განიცდის. ამითაც აიხსნება, რომ შემოქმედი თანამედროვეობის ჰაერით სუნთქავს, მისი იდეებით საზრდოობს.

ჩემი სურვილი იყო ამესახა თანამედროვეობის ოპტიმისტური მიღწევარება, მისი ღია ფერები, საბჭოთა ადამიანის ჰუმანისტური სულისკვეთება, კეთილშობილება და აქედან გამომდინარე მოკრძალება, შინაგანი ღიმილი, სიხარული და ნათელი სვედაც, ვინაიდან გამიგონია — ადამიანს, რომელმაც სვედა და ცრემლი არ იცის, არც გული აქვსო. ჩემი სურვილი ეს იყო, მაგრამ... შესაძლებლობა სხვაა.

ბახმარო... ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ისვენებს საქართველოს ამ მაღალმთიან კურორტზე. მთისა და ზღვის შეზავებული გამაჯანსაღებელი ჰავა, დაბურული ტყეები, ანკარა წყაროები, — აი, რა იზიდავთ მათ აქ.

ფოტო ი. შაქარიშვილისა.



ვინ რა მოიგო?

ცხაკაია. (ტელეფონით. ჩვენი საკ. კორ.). გუშინ დილიდანვე დიდი გამოცოცხლება იყო ქალაქში. სახალხო თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს ფეხბურთის და ნივთების 1964 წლის მერვე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

ლატარიის გათამაშება დაიწყო. სატირაჟო ბორბლებიდან სამაგალითო ბიღის აღსაზრდელების ამოჰქონდათ მომგებიანი ბილეთების სერიებისა და ნომრების აღმნიშვნელი ქაღალდები. ცხადდება პირველი მოგებებიც.

გულით გაიხარებს 17785 სერიის № 142 ლატარიის ბილეთის მფლობელი, რომელსაც ხვდა ყველაზე დიდი მოგება — ავტომანქანა „ვოლგა“. ისინი, ვისაც 17807 სერიის № 329 და 16496 სერიის № 304 ბილეთები აქვთ, ავტომანქანა „მოსკვიჩის“ მფლობელები გახდებიან.

ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მოგებად ხვდა 17583 სერიის № 370 ლატარიის ბილეთს.

ტურისტული მატარებლით სსრ კავშირში იმოგზაურებს 18083 სერიის № 054 ბილეთის მფლობელი. პიანინოს 30 კაპიკად შეიღებენ 17374 სერიის № 420, 17839 სერიის № 461, 16173 სერიის № 451 და სხვა ბილეთების მფლობელები.

მოგებათა ოფიციალური ცხრილი ამ დღეებში გამოქვეყნდება რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე.

გამოფენა... მოგზაურობს

გამოფენა, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბშია გახსნილი, თავისებური და განსაკუთრებით საინტერესოა. აქ ექსპონირებულმა წიგნებმა, ჟურნალებმა და პლაკატებმა დაიმსახურეს სრულიად საკავშირო კონკურსების დიპლომები და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლები 1962-1963 წლებში.

ექსპოზიცია მოაწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ.

გამოფენა მოძრავია. ერევნიდან იგი თბილისში ჩამოიტანეს, ხოლო აქედან ბაკოში გადაინაცვლებს.

საკავშირო კონკურსში მონაწილეობდა 708 წიგნი. მათ შორის პოლიგრაფიული გაფორმებით საუკეთესო წიგნებად აღიარებული 212 წიგნი. აქ ნახავთ აგრეთვე გრაფიკულ ნაწარმოებებს, რესპუბლიკური კონკურსების დიპლომებით აღნიშნულ წიგნებს.

ექსპონატებს შორის არის ქართველ პოლიგრაფისტთა ნამუშევრებიც. ეს არის ი. აბაშიძის წიგნი „რას გადაურჩა თბილისი“, რომელიც რუსული წიგნის ბეჭდვის 400 წლისთავის აღსანიშნავ სრულიად საკავშირო კონკურსით აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად და დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით. წასახალისებელი დიპლომები მიენიჭათ ი. ევდოშვილის წიგნს „წყაროს“, ნ. იანქოშვილის ნაწარმოებთა რეპროდუქციების ალბომს, ლ. სუმბაძის „ვარიანტულ ორნამენტებს“, დ. მუჯირის „მუსიკის სახელმძღვანელოს“ ორიგინალური მაკეტის შედგენილათვის თავიანი მხატვრული რედაქტორი ზ. კაპანაძე დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრონზაოს მედლით.

გამოფენას ყოველდღიურად ბევრი მნახველი ჰყავს.

სასარგებლო კონტაქტები

„კეთილ მოგონებად მიგვყვება საქართველოში გატარებული დღეები, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა“, — განუცხადა საქმესის კორესპონდენტს შვეიცის წითელი ჯვრის პრეზიდენტმა ერლანდ ფონ ჰოფსტენმა.

საქართველოში რამდენიმე დღეს იმყოფებოდა დელეგაცია, რომელსაც იგი მეთაურობდა და რომლის შემადგენლობაში იყვნენ შვეიცის წითელი ჯვრის ვიცე-პრეზიდენტი გერდა ბლიუმე-ვეპტბერგი და გენერალური მდივანი ულოფ სტროხი. დელეგაცია ესაუბრა საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ჭურციკაშვილსა და კომიტეტის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, გაეცნო წითელი ჯვრის პირველადი ორგანიზაციების მუშაობას, რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას. შვეიცის წითელი ჯვრის მოღვაწეები იყვნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვ. გ. გოგიბედაშვილმა სტუმრებს გააცნო პრობლემები, რომლებსაც მეცნიერი თანამშრომლები წყვეტენ, უამბო საქართველოს მრავალფეროვან კურორტებზე.

ერლანდ ფონ ხოფსტენმა აღნიშნა, თუ რა მაღალ დონეზე დგას ქართველ კურორტოლოგთა კვლევითი მუშაობა. ილაპარაკა რა რესპუბლიკის წითელი ჯვრის საქმიანობაზე, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მისი წარმატების საფუძველია მასობრიობა“.

დელეგაციის მეთაურმა შემდეგ თქვა: ჩვენ ძალიან ვართ, რომ კონტაქტები დავამყარეთ საბჭოთა კავშირის წითელ ჯვართან. ამ კონტაქტებს განვავითარებთ და განვამტკიცებთ მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის“.

შეეციიდან ჩამოსული სტუმრები ლენინგრადს გაფრინდნენ. (საქმესი).

მეგობრების ცირკი

საერთაშორისო პროგრამა

მონაწილეობენ:

ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, მონღოლეთისა და საბჭოთა კავშირის მსახიობები

სულ 80 კაცი

დასაწყისი დღისით 12 საათზე

საღამოს 8 საათზე

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლისა და ფილარმონიის სალაროებში.

მიიღება განცხადები კოლექტიურ დასწრებაზე.

ცნობები ტელეფონებით 7-20-54, 7-20-02 7-01-55, 5-03-65

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

მუზეუმის სიახლენი

ამ დღეებში ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდს შეემატა ახალი ექსპონატები. მათ შორის არის ვინმე მესხის — ივანე გვარამაძის ოჯახიდან შემორჩენილი ხელნაწერი რვეული, რომელშიც ვხვდებით დღემდე ჩვენი პრესისათვის უცნობ ხალხურ ლექსებს. ამ ოჯახიდან შეძენილი ახალ ექსპონატებში არის აგრეთვე საგვარეულო ბეჭედი „გემა“ სპარსული და არაბული წარწერებით.

დაბა აბასთუმნიდან მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას გამოუფაზანეს ექვსი ცალი პოლოსნური მონეტა, რომელიც მე-17 საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული.

ს. ორჯონიკიძე.

„საქართველოს აგიტატორი“ № 16

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთექვსმეტე ნომერი.

ქუთაისელთა გამარჯვება

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:1 (0:0). ლენინგრადი. 25 აგვისტო. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. მსაჯი — ნ. კირსანოვი (კიევი).

„ზენიტი“ — გალიმოვი, ნეპომილუევი, სოველიკო, დერგაჩევი, დანილოვი, გორბუნოვი, ზაგიდონოვი, კოტკოვი, ბურჩალკინი, რიაზანოვი (ბრაპოვიცკი), ვასილიევი; „ტორპედო“— ურუშაძე, ლოსაბერიძე, წიკვნოვაძე, სიალმაშვილი, ნიშნიანიძე, კუტივაძე, სარჯველაძე, დუნდუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

დასაწყისი ტორპედოელებს კარგს არაფერს უქადდა, მათ კართან ნამდვილად „ტრაპიკული სიცხე“ იდგა. მასპინძლებმა უჩვეულო ტემპი განავითარეს და ზედიზედ მიიტანეს იერიში მეტოქის საჯარიმო მოედანზე. სამჯერ გადარჩა სტუმართა კარი. ჯერ რიაზანოვი აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ექვსი მეტრიდან ააცილა ბურთი კარს, შემდეგ ვასილიევის ძლიერი დარტყმა ძელმა იხსნა, ხოლო ბურჩალკინმა ოთხი მეტრიდან ვერ გამოიყენა რეალური შესაძლებლობა.

„ჰეკა-ქუსილი“ ტორპედოელთა კართან მიწყნარდა, ქუთაისელებმა ამოისუნთქეს, დაცვაში სიმშვიდე დამყარდა და აი კონტრიერიშიც. სტუმართა ერთ-ერთ ჩინებულ კომბინაციას უტუყარი გოლი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მცველმა დანილოვმა ღია კარში მიმავალი ბურთი მკერდით გამოიტანა.

ლენინგრადელებს მეორე ნახევრის დასაწყისშიც ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ამას მათთვის სასურველი არაფერი მოუტანია. კვლავ ქუთაისელთა კონტრთამაშში — 67-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან გათამაშებულ კარგ კომბინაციას მოჰყვა ზუსტი ჩამოწოდება, შემდეგ დუნდუას თავური დარტყმა და გოლი.

ამ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, ქუთაისელებმა გაიმარჯვეს, მეთხუთმეტედან მეთორმეტე ადგილზე გადაინაცვლეს და გასცილდნენ საშიშ ზონას.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ერთი შეხვედრა ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ბაკოს „ნეფტიანიკის“ გუნდები. მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

ო. ფხაკაძის წარმატება

კოპენჰაგენის ტრეკი დიდი სპორტული პაექრობის მოწმე იყო. აქ გაიმართა საერთაშორისო ასპარეზობა ველოსპორტში სსრ კავშირისა და დანიის გუნდებს შორის.

შეხვედრის შედეგია 3:2 მასპინძელთა სასარგებლოდ.

დიდი ინტერესი გამოიწვია სპრინტერთა პაექრობამ. აქ ბადალი არ ჰყავდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ო. ფხაკაძეს, რომელმაც დანიელთა საერთო მოწინააღმდეგეები ტაში დაიმსახურა. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ბოდნიეკსი (სსრ კავშირი).

საბჭოთა სპორტსმენებმა ი. ბოდნიეკსიმ და ვ. ლოგუნოვმა ტანდემით რბოლაში გაიმარჯვეს.

ასპარეზობენ წყალბურთელები

გუშინ მოსკოვში შედგა უნგრეთისა და სსრ კავშირის წყალბურთელთა საერთაშორისო მატჩი. საბჭოთა გუნდმა კვლავ გაიმარჯვა ანგარიშით — 8:1.

ფინალის ოთხი კანდიდატი

საკავშირო საჭადრაკო პირველობის მინსკის ნახევარფინალზე თხუთმეტი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

მართალია, ეოორეგმაასთან გადადებულ პარტიაში სუეტინს ჰპაკი აკლდა, ბაგრატიონ-ბროსმაისტერმა შეძლო მოწინააღმდეგის მუქარების უენებელყოფა და ყაიმს მიაღწია. სამგიეროდ ეტრუკთან პარტიაში სუეტინმა თავი ვერ დაიწია მეტოქის მარწუხებს და პირველი დამარცხება განიცადა.

გურგენიძეს საერთაშორისო ოსტატ მაკენასთან გადადებულ პარტიაში გარკვეული პოზიციური უპირატესობა ჰქონდა და იგი გამარჯვებით დაგვიგვანა. ზილბერმა მოუგო ავოს, კრუტიხინმა — შაგალოვიჩს. ეტრუკ-ბეტენსონისა და შაგალოვიჩ-ეალიეის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ბოიარინო